წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ხუთშაბათი ნოემბრის 9—(22) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურად . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლინი . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . .
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 171    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 171

6 ნოემბერს გარდაიცვალა ქ. ახალ-სენაკში

## ნიკოლოზ ალექსის ძე ჯიჯიხია,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ქრისტინა ალექსის ასული შვილებით, ძმის შვილი ეკატერინე ივანეს ასული დადიანისა, სიძე სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯაძე შვილებითურთ, დის წული სპირიდონ გიორგის ძე ლოლუა და ბიძაშვილი პლატონ ტაგუს ძე ჯიჯიხია. ცხედარს გამოასვენებენ პარასკევს, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ სახლიდან.

# სია № 8

## რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ქიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბუკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სჯერის მიჭიმული წინდებით ქსოვილი ლეიბები და პატარა შალები, ფასები ზომიერია.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დილის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## განცხადება.

ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, ქეიშვილის სახლი, მიხეილ კაშიას მიმართეთ ვისაც თვალები გტკივათ ანუ თეთრი გაქვთ გადაკრული, რომელმაც მე მომირჩინა თვალის ტკივილით დაბრმავებული ბავში უოპერაციოთ. ამისათვის ვაცხადებ, ვწერ მადლობით და [illegible]ტივისცემით ვარლამ ჯანელიძე.

## რა ვსთქვათ 19 ნოემბერს?

დიდის ლოდინის შემდეგ გადაწყდა, რომ 19 ნოემბერს თბილისში უნდა მოხდეს ქართველთა ეროვნული კრება. ჩვენი მოუმზადებლობის და მოუწყობლობის მიზეზია, რომ ცხრა თვეს რევოლუციის ალში ვართ გახვეული და მხოლოდ დღეს ვახერხებთ ამ კრების მოწვევას. რაც იყო, იმაზე ლაპარაკი ზედმეტია და რაც უნდა ყოფილიყო, იმაზე დარდი დღეს უნაყოფო იქნება, და უმჯობესია დღეს ისა ვსთქვათ რა უნდა გააკეთოს 19-მა ნოემბერმა. საჭიროა დღეს ნათლათ და ცხადათ აღინიშნოს 19 ნოემბრის პროგრამა.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ სახელმწიფო დიდ განსაცდელშია. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ, თუ ყველამ თვალი არ გამოვახილეთ და საჩქაროთ არ ვიზრუნეთ, ცოტა ხნის შემდეგ ან სისხლის მორევში დავიხრჩობით ან ვეებერთელა ყოფილ სახელმწიფოს ნანგრევებში ჩავიმტვრევით. ჭეშმარიტად ბაბილონის გოდოლი უშენებია რუსეთის რევოლუციას დღეს ენათ-შერევა მოხდა და ერთს მეორის აღარ ესმის. გერმანელები იტყვიან: „ორ იურისტს სამი აზრი აქვსო“ და თუ ეს იურისტებზე ითქმის, დღეს რუსეთში ორ რევოლუციონერს ოთხმოცი აზრი ექნება. დღევანდელი დეპეშები და გაზეთის ფურცლებზე ამოკითხული ამბები რომ ერთად ავკინძოთ, სწორედ გეგონებათ, რომ ყველგან სიცხიანი ავათმყოფები მოქმედებენ და მათი დეკრეტები ანთებიანის ბოდვას მოგაგონებს. ასეთ პირობებში რომ სახელმწიფოს საქმე დაეწყოს, ასეთ მეთაურთა წყალობით რომ წესიერება დამყარდეს, ყოვლად შეუძლებელია. მერწმუნე მკითხველო, რომ მათ გაღმა საქმე ისე აინგრა, რომ იქითკენ იმედით მზერა არავისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც იქით ვიყურებით. ამბობენ, ნაპოლეონი რომ მოკვდა, დარაჯმა ხუთჯერ ხელით შეაქან-შეანჯღრია და მაინც დარწმუნდა, რომ ალბათ მოკვდაო. საცოდავ დარაჯს თურმე ნაპოლეონი უკვდავი ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ ის ოდესმე მოკვდებოდა ასე ჩვენი საქმე. დიდი რუსეთი თუ შეჩერდება და იქიდან „უქაზები“ არ მაგვივა—ჩვენ ეს არა გვგონია. დეპეშები და წერილები ველარ მოაქვს ფოსტას და ჩვენ თეთრი პურის ფქვილი კიდევ იქიდან გვინდა მოგვივიდეს. აი რა ძნელია დაჩვევა. დიახ, დიახ, დავეჩვიეთ და რომ ველარ გადავეჩვიეთ?!!

დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს თავს ჩვენვე უნდა უპატრონოთ. თუ რამე შეგვიძლია, 19 ნოემბერს გადავწყვიტოთ ჩვენი საქმე და, თუ არაფერი შეგვიძლია, ჩვენც ჩვენი მფლობელი რუსეთივით მარტო ხმა ვყოფილვართ და მეტი არაფერი.

19 ნოემბერს განზრახულმა კრებამ უნდა დანიშნოს საბჭო, რომელიც მოაწყობს საქართველოს ცხოვრებას. ქართველ ერს უნდა ჰყოლოს საკუთარი გამგეობა, რომელიც მოაწყობს ჩვენს ცხოვრებას და გაუძღვება წინ. ასეთი გამგეობის გაჩენა აუცილებლობით არის ნაკარნახევი და ამიტომაც არც რუსეთი და არც რომელიმე ჩვენი მეზობელი ერი ამის წინააღმდეგი არ იქნება. პოლიტიკური შეგნება და დღევანდელი მდგომარეობა ყველას დაარწმუნებს, რომ რაც მალე მოეწყობა სხვადასხვა ერის ცხოვრება, რაც მალე დამყარდება წესიერება სახელმწიფოს ნაწილებში, მით უფრო მალე და უფრო მკიდროთ დალაგდება თვით სახელმწიფოს ცხოვრება. ახლად შემდგარი საქართველოს მმართველი ორგანო—საბჭო იქნება იგი თუ პარლამენტი—უცებ აიღებს ალღოს, შეიგნებს ქართველი ერის სულის კვეთებას, აღიჭურვება ხალხის საერთო ნდობით და მოკლე დროში მოაწესრიგებს საზოგადო ცხოვრებას. ასეთ დიად საჭირო და სასიცოცხლო საქმეში სავსებით შეერთდება ყველა პარტია. ყველა წოდება, სარწმუნოება და ერთ საერთო პოლიტიკურ ფერხულში ჩაებმება. თავად-აზნაურობამ შეგნებული ნაბიჯი გადასდგა ასეთი გზისკენ და თავისი წოდებრივი ქონება მთელი ქართველი ერის საკუთრებათ გამოაცხადა. ასეთ გზას დაადგება საქართველოს იკლესია, ბანკები, სახაზინო მამულების სამმართველო ჩვენი ყოფილ მეფეთა მემკვიდრენი და სხვა. თავადაზნაურობამ თავისი გონიერი ნაბიჯით **ჩაუდგა საძირკველი საქართველოს ფინანსებს** და ამაზე აშენდება ის შენობა, რომელიც შეინახავს საქართველოს. საქართველოს პარლამენტი ააყვავებს ჩვენს მეურნეობას, მოაწყობს ეროვნულ შკოლას, გაიყვანს საჭირო გზებს, გააცოცხლებს მრეწველობას განაწილებს გადასახადს, გააჩენს ნამდვილ სამართალს და აამუშავებს მთელი ერის ძალღონეს.

დროა ვეღირსოთ ასეთ წუთს!

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## კავკასიის დამფუძნებელი კრება.

ეს ერთი ხანია კავკასიელი კადეტები და ზოგიერთი სომხური პარტია კავკასიის საოლქო დამფუძნებელ კრების მოწვევას მოითხოვენ.

მრავალმრავალსეთა აქტიურმა მოძრაობამ, ყაზახთა სეპარაციამ და მთიელთა კავშირმა დააფრთხო, საგონებელში ჩააგდო ის ხალხი, რომელიც წინათ ცენტრალიზმის მჭვნე „ლოცულობდა“.

ცენტრალიზმს კავკასიაში ესწრაფოდნენ არა იმიტომ, რომ იგი ცენტრალიზმი მათთვის საჭირო იყო.

სრულიადაც არა.

კავკასიის ერები ქედს იხრიდენ სანქტ-პეტერბურგის წინაშე და ამ მუხლ-მოდრეკის დროს ბევრი გადაჭარბებულათ ემონებოდა მეფის ტახტს, რათა მით მეტი „მოწყალება“ ერგუნა.

ასეთ როლში განუწყვეტლივ გამოდიოდენ სომხები, მათ ცენტრალიზმი გარეგნულათ მარადიულ აბსოლიუტიზმათ ჰქონდათ წარმოდგენილი.

როდესაც სომხებმა თავის ეროვნული კრება მოიწვიეს თბილისში, მაშინ ოავიანთი კითხვის გადაჭრა რუსეთის დამფუძნებელ კრებას უბოძეს.

ასეთი ქცევა სომხთა ჩვენ მეტად გვანცვიფრებდა, რადგან ეს ხალხი იმ დროს, როდესაც თავის ბედს რუსეთის დამფუძნებელ კრებას გადასცემდა, თან აცხადებდა, რომ იგი ამიერ კავკასიაში სახელმწიფოური ერი იყო.

ჩვენ ეს თვალთმაქცობათ და ვორონცოვის დროს მიჩვეულ „ლაქიობათ“ ჩავსთვალეთ.

დღემდის სომხები გაურბოდენ ეროვნულ პლატფორმის გამოაშკარავებას, ყველაფერს მალულად აკეთებდენ და ხელს უშლიდენ სხვა ეროვნებებს ეროვნულ თვითმოქმედებაში.

რაც შეეხება კავკასიელ კადეტებს, მათი გულწრფელობა არავის სწამს.

ისინი ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ დამონებულ ერების თვითმართველობებისა. „ერთა თავისუფალი თვით-გამორკვევა“ მუდამ ჟამს პირზე ეკერათ, მაგრამ მის რეალათ განხორციელებას ყოველგვარათ ებრძოდენ.

დღეს დრო გამოიცვალა, ცენტრალიზმი დაიმსხვრა და, რასაკვირველია, საჭიროათ სხვა გზის ამორჩევა.

ამიტომაც არის, რომ სომხები და კავკასიელი კადეტები იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბა, კავკასიის საოლქო დამფუძნებელ კრების მოწვევას თხოულობენ.

ამ კრებაში მათის აზრით წარმოდგენილი უნდა იქმნან კავკასიის ყველა ერების წარმომადგენლები.

გულუბრყვილო ადამიანს შეიძლება სრულიად მიზან-შეწონილათ მოეჩვენოს განზრახული ყრილობა.

კავკასიის სხვა და სხვა ერები შეიყრებიან, თავ-თავის საქმეებზე ბჭობას გამართვენ და ურთიერთ შორის სოლიდარობას გაანმტკიცებენ. ამას რა სჯობია!..

მაგრამ ჩვენ კითხვას სულ სხვა-ნაირათ ვსვამთ.

ჯერ კავკასიის არც ერთ ერს თავის ეროვნული პლათფორმა არ გაურკვევია, რაც ურთიერთ სოლიდარობისთვის უმთავრესია.

არც სომხებს, არც თათრებს, არც ქართველებს ჯერ გადაწყვეტილი სიტყვა არ უთქვამთ.

დაგვეთანხმება ყველა, რომ ასეთ გარემოებაში, როდესაც ერებს თავისთვის არ აქვთ ეროვნული პროგრამა შემუშავებული, კავკასიის დამფუძნებელ კრებაზე მათი შეყრა სარგებლობას ვერ მოიტანს, ვერც საერთო სიტყვას გამონახავს და იგი პირდაპირ არა ბუნებრივი იქნება.

უწინარეს ყოვლისა კავკასიის ერთა კეთილდღეობისთვის აუცილებელია საკუთარ დამფუძნებელ კრებების მოწვევა და თავის ეროვნულ სათქმელის აღიარება. ამ თვალთაზრისით უყურებთ ჩვენ კავკასიის დამფუძნებელ კრებას.

კიდეც, რომ მოიწვიონ იგი, ქართველები ყოველ-შემთხვევაში მას არ მიანდობენ თავის ბედს.

ქართველებმა უკვე გადასდგეს ნაბიჯი საკუთარ ეროვნული კრების მოსაწვევათ.

ნოემბრის 19-ს შესდგება საქართველოს ეროვნული კრება, რომელსაც მოჰყვება უსათუოდ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევაც.

ჩვენ უაღრესათ მომხრენი ვართ კავკასიის ერთა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა, მაგრამ ამავე დროს აუცილებლათ ვსთვლით პირველ-ყოვლისა თითოეულმა ერმა, თუ ხალხმა თავის ეროვნული საქმე საკუთარ ბჭობათ გადასწყვიტოს, შეიმუშავოს თავის მოქმედების გეგმა, ორიენტაცია, სავალი გზა და მერე ისე გავიდეს საურთიერთო დამფუძნებელ კრებაზე, თუ კი იგი აუცილებელი გახდება.

ი. დიდიძე.

---

**დაწევას და დაჭრას უპირებენ საქართველოს, საზღვრების მთლიანობის, საქართველოს სრულ-უფლებიანობის მომხრე მხოლოდ № 8 არის.**

---

## დროა ბარემ.

ჩვენი მეზობლები აფხაზები, რომელნიც ყოველთვის ჩვენთან ყოფილან, ჩვენთან ჰქონიათ ისტორია და დღესაც მჭიდრო გეოგრაფიულის, ეკონომიურისა და ეთნოგრაფიული კავშირით არიან გადაბმული საქართველოსთან, კავკასიის მთიელთა კავშირში შესვლას აპირობენ და ამის შესახებ რეფერენდუმს, ე. ი. ხალხის დაკითხვას, აწარმოებენ.

ჩვენ კი არა გვკითხეს რა! მაგრამ ეს განა მათი ბრალია?! სრულიადაც არა პირიქით, ჩვენი ბრალია!

დღეს საქართველო ერთს პოლიტიკურ ორგანიზმს არ წარმოადგენს, ვინაიდან თავი არ აქვს, რომელსაც შეეძლოს პასუხი გასცეს მტერსა და მოყვარეს საქართველოს სახელით!

აღარ დარჩენილა რუსეთში არცერთი არ პატარა ერი, რომ ეროვნული საბჭო ჰყავდეს, რომელიც არის შუამავალი მის მიერ წარმოდგენილ ერსა და სხვა ერებს **შორის**.

მხოლოდ საქართველოა გამონაკლისი. რა არის ამის მიზეზი?! ნუ თუ სხვებზე უფრო ჩამორჩენილი ვართ?! რასაკვირველია არა! მიზეზი—უკიდურესი პარტიული **ბრძოლაა**.

ჩვენმა პარტიებმა ლამის ერთმანეთი დასჭამონ! ერთმანეთს შორის გაუვალი კედლები გაავლეს და ერთამნეთს ვეღარ დაუახლოვდენ! პარტიულმა დაბრმავებამ იქამდისაც კი მიაღწია, რომ დიდი ისტორიული მომენტის შეგნებამ დაიგვიანა და ამ შეუგნებლობამ ერი განსაცდელში ჩააგდო.

დიახ! საქართველო განსაცდელშია! ისმინეთ, პარტიებო, და შეუდექით ეროვნული კრების მოწვევის სამზადისს.

დროა ბარემ!

**ვასილ წერეთელი**

---

## მიხაკო წერეთლის კანდიდატურის გამო.

**(ქართველი საზოგადოების სამსჯავროდ)**

ამ დღეებში ქართულ პოლიტიკურ ბრძოლის ველზე სოამრად დარაზმულა ერთი ჯგუფი, რომელიც თავისთავს რადიკალ დემოკრატიულ გლეხთა „პარტიას" ეძახის. რასაკვირველია, ყოველ პირთა კრებულს, რომელსაც აერთიანებს ერთფეროვნება მსოფლ-მხედველობისა და პოლიტიკური, თუ სოციალური შეგნებისა აქვს სრული უფლება საჯაროთ გამოაქვეყნოს თავისი მრწამსი და თავის იდეათა განმტკიცებას შეეცადოს; მაგრამ ამ ბრძოლისა და მეცადინეობისათვის არის ერთგვარი რკალი კეთილ სინდისიერებისა, რომელიც სავალდებულოა ყველა საზოგადო სარბიელზედ გამოსულ პირისა, თუ ჯგუფისთვის. ამ ახლად მოვლენილი „პარტიის" პირველი ნაბიჯი კი აღიბეჭდა ისეთი სამარცხვინო საქციელით, რომლის მსგავსი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრების მატიანეში დღემდის შენიშნული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ იმ პირთა შეჯგუფება, რომელიც ამ ჟამად „რადიკალ დემოკრატიულ პარტიის" სახელით მოევლინა საქართველოს დაიწყო იმ ხანიდან, როდესაც ძველი პარტიის საპასუხისმგებლო თანამდებობათა რეორგანიზაცია მოხდა და ზოგიერთნი პირნი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, ხოლო ერთი იმათგანი ბოროტი საქციელისათვის გაძევებულ იქმნა პარტიულ კომიტეტიდან.

აი ეს პირები ჩაუდგნენ სათავეში ახალს „პარტიას" და მძაფრად დაჰკრეს ისრები ჩვენს საწინააღმდეგოთ. პირველსავე გამოსვლისთანავე საყოველთაოდ აცნობეს თავიანთ გაზეთის საშვალებით, რომ ჩვენი პარტიის სიღნაღის კომიტეტი, და მთელი სამაზრო კონფერენცია გადავიდა მათს მხარეზედ, მაგრამ მეორე დღესვე გაბათილდა მათი შეთხზული ამბავი.

შემდეგ დარაზმდნენ სამოქმედოთ რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის ორ კანდიდატიან სიით, რომელთაგან ერთმა დაუყონებლივ განაცხადა უარი, როგორც წევრმა და თანამგრძნობელმა მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიისა. დარჩა ერთი კანდიდატი. და მერე ვინ? მიხაკო წერეთელი, პიროვნება ფრიად ცნობილი საქართველოში, უბიწო პოლიტიკური მოღვაწე და დიდი ხნის თანაგრძნობელი ჩვენი მიმართულებისა, უეჭველად ეგონა ამ ჯგუფს, რომ რადგანაც იგი შორეულს უცხოეთში იმყოფებოდა თავისუფლად შეეძლებოდათ მისი სახელით სპეკულაცია და, აი, კიდეც ჰმოიფარეს მის დიდსა და ნათელ სახელს. დაბეჯით მათს კადნიერებას, მის მაგიერად საარჩევნო კომისიაში თანხმობის ხელწერილიც კი წარადგინეს, მაგრამ მათს ტყუილს კუდი მალე გამოაჩნდა და თვით მის. წერეთელმა 240 №-ში დაბეჭდილ წერილით კატეგორიული უარი გვაცნობა—მისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ, ვისგანაც ეს არ უნდა ყოფილიყოს და განცხადებაც ამ „პარტიის" მიერ კომისიაში შეტანილი, რასაკვირველია, ყალბი გამოდგა.

ჩვენ არ გვინდოდა ეს ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების უთხაულოდ, სამწუხარო ამბისათვის ოფიციალი მსჯელობა მიგვეცა და გვეგონა, რომ საკმარისი იქნებოდა წერილის დაბეჭდვა მათ მიერ ხსენებულ კანდიდატის მოხსნისათვის, მაგრამ ამაოდ. მათ არამც თუ იხმარეს ეს უკანასკნელი ნარჩენი სინდისისა, პირ იქით, დაგვემუქრნენ **ტერორით**, თუ ამ საქმეს გამოვააშკარავებდით. ამ მუქარას, რომლით ძნელია ვისიმე შეშინება, კომენტარიები აღარ სჭირდება.

ეს მწვერვალია პოლიტიკური ბრძოლის იმ ავანტიურისა, რომლის შემოტანა მოუწადინებია ამ ჯგუფს ახეთი ამბებისათვის ჯერ ხნობით უჩვეულო საქართველოში. დეე ქართველმა საზოგადოებამ თვით დასდოს თავისი მსჯავრი ესეთი მეთოდით მებრძოლს ჯგუფს,

ჩვენ კი უკვე იძულებული ვიყავით მიგვემართა იმ ზომისათვის, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველნი ამოიკითხავს ცენტრალ საარჩევნო კომისიისადმი მიმართულ პარტიის მთავარ კომიტეტის განცხადებაში.

---

## ქართველო ისრაელებო

3000 წელია მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი სამშობლო—საქართველო წინმსვლელობისა და შეგნებულ ცხოვრების გზას ადგია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საბედისწერო წუთები განიცადა მან და ნარ-ეკლით მოფენილ გზით სიარულმა მაინც ვერ აადინა იგი მე 20 საუკუნის კულტურულ ერთა ცხოვრებას. მრავალი გაჭირვება და სიხარული იგემა ჩვენმა საქართველომ. არც ერთ გაჭირვებას ისე მწარედ არ დაუკოდავს მისი სხეული, როგორც 117 წლის მონობას, რომელიც ძველი, აწ უკვე დამხობილი, რუსეთის ხელში გაატარა მან. ამ მწარე ტკივილების მორჩენის ჟამიც დაუდგა ეხლა ჩვენს სამშობლოს და ჩვენც, ისრაელებიც, მოვალენი ვართ ისეთივე მონაწილეობა მივიღოთ მისი დაკოდილი გულის გამთელებაში, როგორც მოვალენი არიან ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები.

ქრისტიანებთან და მაჰმადიანებთან ერთად მოვაწიეთ ჩვენც დღევანდელ დღემდი და მოვაღწიეთ ისე, როგორც არ მოუღწევია არც ერთს ჩვენს ერთ მორწმუნეს არც ერთ ქვეყანაში. ყველგან ჩაგრული იყო ის ადამიანი, ვისაც მოშეს თორა სწამდა, ყველგან არბევდნენ ისრაელებს, ავიწროებდნენ, ხოლო ჩვენს სამშობლო საქართველოს, ისრაელების სისხლით არ შეუღებავს თვ სი ტურფა და მადლიანი ბუნება.

ჩვენ ვიყავით სრულებით თავისუფალი და თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი ჩვენის სამშობლოისა.

ჩვენი დედა საქართველოს ასეთი ბრწყინვალე ამაგი და ღვაწლი ჩვენდამი გვავალებს ჩვენც, მოვიხადოთ მის წინაშე ვალი.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი ვალის გადახდა?

**სამშობლოსადმი სამსახურში:** ჩვენი დედა-ენის, საქართველოს საზღვრების დაცვაში და ცხოვრების იმ დონეზე დაყენებაში, რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად გაუთანასწორებს ჩვენს სამშობლოს სხვა მაღალ-კულტუროსან ერებს.

ამ მიზნების მისაღწევად იბრძვის **საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.**

ეს პარტიაც აგზავნის თავის წარმომადგენლებს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე. სია ამ პარტიისა არის №8. რაც მეტი წარმომადგენელი იქნება ამ პარტიისა დამფუძნებელ კრებაზე, მით უფრო უკეთესი და საბედნიერო იქნება ჩვენთვისაც —ქართველ ისრაელებისათვისაც— [illegible]

1.) სია №8 **იცავს კერძო საკუთრებას**, რომელმაც გაუხსნა გზა ადამიანის შრომას, შემოქმედებას, [illegible] და მით განმტკიცდა პროგრესი და ცივილიზაცია.

2.) სია №8 ანიჭებს ქართველ ისრაელთა სარწმუნოებას სრულს თავისუფლებას და ეცდება მოეწყოს ჩვენი სარწმუნოებრივი მმართველობა დამოუკიდებლად და ავტონომიურად (იხ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის პროგრამის მე-14 გვერდი). (3) სია № 8 ეცდება, რათა ხალხისთვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივ მზადდებოდეს, რათა ჩვენი მეურნეობა, მრეწველობა და აღებ-მიცემობა უფრო განვითარდეს.

ამიტომ ქართველო ისრაელო, ქალი ხარ თუ კაცი, შენ როგორც კერძო საკუთრების მომხრე, როგორც ისრაელთა სარწმუნოების მოყვარული, როგორც სამშობლოს ეკონომიური ძლიერების მოტრფიალე, **მოვალე ხარ ხმა მისცე მხოლოდ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას № 8.**

**ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების ქართველი ისრაელები.**

---

დაიცავით კერძო საკუთრება. ხმა მიეცით № 8.

---

## ქართველნო ვაჭარ-მრეწველნო და ხელოსანნო!

ჩვენი ხმა ჯერ არავის გაუგონია. მთელი ერის მონობამ ჩვენც დაგვადუმა. ახალ აღმოცენებულს ვაჭრობა-მრეწველობას უცხო მთავრობა, არა თუ გზას არ უკაფავდა ჩქარი ნაბიჯით წინ სავლელად, არამედ ხელებს უბორკავდა.

ჩვენც, ჯერ კიდევ სუსტნი, ან ქედმოხრილი ვასრულებდით რუსთა ბრძანებას ან მაჩანჩალად მივყვებოდით იმ პარტიებსა, წრეებსა და ჯგუფებს, რომელნიც ძველი მთავრობის საწინააღმდეგოთ რაზმავდენ ხალხს.

მაგრამ, საბედნიეროთ, დრონი იცვალენ,

---

## დიდი სახელმწიფოები და პატარა ერები.

უცნაური, მაგრამ მასაანვე მტკიცე და შეუპოვარი რომ არის ცხოვრების ლოღიკა. რა გინდ ბრუნდ გზაზე არ დააყენო ცხოვრების მიმდინარეობა, ის მაინც ისტორიის მიერ ნაკარნახევ სწორ კურსს აიღებს. დროებით შეიძლება ნაზმა ზიგზაგური ფორმა მიიღოს, მაგრამ ის დროებითია. ვერც ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, ვერც ჰაეროპლანებიდან ჩამოყრილ ყუმბარათა გრიალი, ვერც ტყვიის მტყორცნელთა მონოტონური კაკუნი და ვერც მილიტარიზმით გაბრუებული 20 მილიონიანი ჯარი, საბოლოოდ ვერ ამკვიდრებენ ანტიბუნებრივ საქმეს. განსაკუთრებით ერის ცხოვრებაზე ითქმის ეს. საკმარისი საბუთი ამისა იქნება ის, რომ კულტურულად ძლიერი ერნი დღესაც სცოცხლობენ ეროვნულის ცხოვრებით, თუმც ამის საწინააღმდეგოდ შრომა არ დაუზოგავთ "ძლიერთ ამა ქვეყნისას!!

ამასთანავე დავრწმუნდით რომ „ძლიერნი" ჯერ ვერწასულან ნამდვილ შემოქმედების გზით და თანდათან სულსაც ღაფავენ. ამიტომ იყო, ჩვენ მუდამ იმ აზრს გამოვსთქვამდით, რომ ვინემ მცირე, დიდი სახელმწიფოებისაგან ჩაგრული ერნი საკუთარ თავს არ იქმნებიან მიცემულნი, ცხოვრების წონასწორობაც მუდმივ დარღვეული იქნება და რყევის პროცესს ვერ გასცილდება.

გამოურკვევლობა—დამახასიათებელი თვისება, მუდმივი თანამგზავრი იქნება ამ პირობებისა. ხოლო გამოურკვევლობის თანა, რყევისთანა არაფერი აშინებს ადამიანს, გინდ ჯგუფს ადამიანებისას. იკარგება რწმენა, ნდობა და კეთილგანწყობილება "მესვეურთადმი„. ნაყოფი ამისა არის რუსეთის დღევანდელი სახე.

უტყუარი არის ის, რომ ყოველი სოციალური არსი, ამ შემთხვევაში ერი, რომელიც განსაკუთრებული ბუნების მატარებელია, ცხოვრების, როგორც ეკონომიურისა და კულტურულის, ისე პოლიტიკურის მხრით განსაკუთრებულად მოწყობასაც მოითხოვს. შეიძლება ეს ჭეშმარიტება არ იყოს მაინცადამაინც ხელსაყრელი ,,დიდ" სახელმწიფოთა ძლიერებისთვის, შეიძლება ეს მათ იმპერიალისტურ მიდრეკილებათ კბილის მატლად გასჩენია, ხოლო ბუნებრივი-ხელოვნურს ყოველთვის სძლევს. ერი გაჩენილა, მას უცოცხლია, იგი სცოცხლობს დღესაც და ბუნებრივია, თუ სიკვდილი მას არა ჰსურს და თავდავიწყებით იბრძვის თავის არსებობისათვის. ერის, რა გინდ პატარა არ იყოს იგი, მოსპობაზე ფიქრი დღეს ფიქრად და დარჩება. ამის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა ისეთივე პირობების შექმნა, როგორიც რამდენიმე 1000 წლის წინად იყო, როდესაც ერი ჰქრებოდა, ისპობოდა მახვილის ძალით. მახვილს მაშინ ექნება მხოლოდ ძალა, როდესაც მოისპობა ეროვნული კულტურა. აი, სად უნდა იქნეს დღეს ყოველი ერის გულის ყური მიპყრობილი.

დღეს, ღვთის წყალობით, **ერის** ყოფნა არ ყოფნის კითხვას აღარა სწყვეტს მახვილი, არამედ მხოლოდ კულტურის სიძლიერე.

რაც შეეხება დღევანდელ დიდ **სახელმწიფოების** ყოფნა არ ყოფნის კითხვას, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ არ დამდგარა ჯერ ისეთი მომენტი, როდესაც მათი დაშლა არ შეიძლებოდეს იარაღის ძალით.

მაგალითად ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არიან რუსეთი, ავსტრო-ჰუნგრეთი, ოსმალეთი და სხვა ეროვნულად არა ერთფეროვანნი შეიძლება მოისპოს იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ. ე. ი. რუსის ერი არ მოისპობა, ხოლო მოისპობა მისი ბატონობა და მფლობელობა არა რუსულ, ქართულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ფინურ, პოლონურ ლიტვურ და სხვა პროვინციებისა ამის ნიშნები უკვე სჩანს. ბევრი რუსეთში მობინადრე ერი შეუდგა თვისი სამშობლოს სახელმწიფოებრივ ავტონომიურ ნიადაგზე მოწყობს.

ომმა ხელი შეუწყო ასეთ პროცესის ჩქარის ტემპით განვითარებას, ხოლო ეს რევოლუცია საბოლოოდ სწყვეტს ცენტრალიზმის ბედს, მარცხნიდან იქნება იგი, თუ მარჯვნიდან.

ეხლა იბადება კითხვა, ხაბედნიერო იქნება ეს მფლობელ ერთა არსებობისათვის და განსაკუთრებისათვის თუ არა?

გულთმისნები არავინა ვართ, ხოლო თუ ამ მფლობელ ერთა წარსულს ცხოვრებას გადავხედავთ და მისგან რაიმე დასკვნას გამოვიტანთ, მაშინ გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ მათი მიწა-წყლის უზარმაზარობას, სივრცის თვალ-უწვდენლობას ვნების მეტი არასფერი მოუტანია. რუსეთი, ავსტრო-ჰუნგრეთი და ოსმალეთი ყველაზე უფრო დაზიანდნენ ამ მხრივ, ხოლო ინგლისის იმპერიალიზმის სამარეც წინედ თუ ნელა, ეხლა დაჩქარებით ითხრება. ინგლისსა და ზემოხსენებულ სახელმწიფოთა შორის განსხვავება ამ მხრით იმით შეიძლება აიხსნას, რომ ის ერები, რომელთაც რუსეთი, ოსმალეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი სჩაგრავს, ტერიტორიულად ემეზობლებიან მფლობელ ერს, ხოლო ინდოეთი და სხვა ინგლისის კოლონიები დაშორებულნი არიან სახელმწიფოებრივ ცენტრს.

რაც შეეხება ირლანდიის, ყველამ იცის უკვე, თუ რა ნაყოფი მოუტანა დიდ—ბრიტანეთს ირლანდიის შარშანდელმა აჯანყებამ და რაფერ დაახევიეს ირლანდიელებმა ეროვნულ პოლიტიკაში ინგლისელებს. აშკარაა აქედან, თუ რატომ ადრე სწყდება პანსლავიზმის, პანგერმანიზმის და პანისლამიზმის ბედი, ხოლო რად ჩამორჩა ამათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პანბრიტანიზმი. მპყრობელ და დაპყრობილ ერთა ტერიტორიების სიახლოვე, უდავილებს როგორც ჩაგრულ, ისე ერთ ბრძოლის წარმოებას. ამას კულტურული სიძლიერეც ხელს უწყობს. გამარჯვების სასწორი აშკარაა იმ მხარეზე გადიხრება. რომელ მხარეზეც კულტურა უფრო მაგარი იქნება. ამმხრივ საინტერესოა ევროპიელთა აზრი რუსეთზე, ავსტრო-ჰუნგრეთზე და ოსმალეთზე. რუსეთს „მომაკვდავ თეთრ დათვს" უძახიან, ავსტრო ჰუნგრეთს „ავადმყოფს", ხოლო ოსმალეთს „მომაკვდავს". ამ სახელმწიფოთა, უმთავრესად რუსეთისა და ოსმალეთისა, დაშლას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სარწმუნოება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუძედ აღიარეს.

მაგრამ დღეს ყველა ვხედავთ, რომ ოსმალეთის, რუსეთის, ავსტრო ჰუნგრეთის (შეიძლება ინგლისისაც) და სხვა ასეთ ერი-ყლაპია სახელმწიფოების დღეები უკვე დათვლილია.

იმიტომ ხდება ეს, რომ მათმა პოლიტიკამ ეროვნულ კითხვაში გაამწვავა ურთიერთ შორის დამოკიდებულება. იმის მაგივრად, რომ უცხოეთის ზნე-ჩვეულებანი ჩვენი მოთხოვნილებისათვის შეგვეფარდებინა, ჩვენ გვაიძულეს, მათი წესი და ადათი მათსავე მოთხოვნილებისათვის შეგვეფარდებინა. ცხადია ამიტომ, თუ ჩვენს სულსა და გულში ჩაინერგა მტრობა „განმანათლებლი"-სადმი. დღესაც მრავალია ჩვენში ისეთი ოჯახი, სადაც ბავშს იმით აშინებენ, რომ „რუსი მოვა და გაგატანო"!

ქართველი ერი განსაკუთრებულ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ბედი ამ მხრივ მეტად წააგავს პოლონეთისას. მაგალითად, ფინეთის ერის სოციალური ცხოვრების მხოლოდ ერთი დარგი—პოლიტიკური—იყო შევიწროებული, ხოლო ჩვენი და პოლონელების ჩაგვრა შეეხებოდა როგორც პოლიტიკურს, ისე კულტურულ სფეროს, რაც იმით უფრო საშინელი ხდება, რომ პოლონეთი სამსახელმწიფოს ჰყავდა დაგლეჯილი, ხოლო ჩვენ ორს -რუსეთს და ოსმალეთს. სამაჰმადიანო საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალეთს ეჭირა მას რომ ზედ კიდევ სოციალ-ეკონომიური ჩაგვრაც დაურთოთ თვალწინ გარდაგვეშლება ის საშინელება რომლის თავიდან ასაცილებლად ყოველს ღონეს ხმარობს ყოველი ერი.

ამიტომ იყო კალეც, რომ არა ვერი კარუსიებმა დიდძალი სისხლი დააქციეს და ენერგია შეილიეს თვითმპყრობელობის დაქცევას. ქართველებსა და სხვა ერებს რომ თავიდანვე შესძლებოდათ თავისი პოლიტიკური ცხოვრების ფორმები ცენტრის დაუკითხავად ჩამოეყალიბებიათ, ეჭვს გარეშე, დიდი ვეშაპი 27 თებერვალზე ადრეც იქნებოდა დამხობილი უფრო ნათელია ის, რომ დროებით მთავრობას მაინც რომ გაესწორებინა რომანოვების შეცდომა, დღეს რუსეთი არ შეიქმნებოდა ისეთი საშინელი ანარქიისა და სამოქალაქო ამის მსხვერპლი, როგორადაც ის დღეს იქცა.

როგორ შეუძლია კულტურულ ერს დამშვიდებული იყოს და ვიღაცას და რაღაცას უცადის, როდესაც თვის მიერ წარმოებულ რევოლუციურ ენერგიას თავის სასარგებლოდ ვერ იყენებენ და იმის საფრთხეშიც კი ვარდება, რომ ვაი თუ მისმა დაუძინებელმა მტერმა „კადეტებმა" გამოიყენოს ეს რევოლუციური ენერგია მისაზე საწინააღმდეგოთ. ჩვენ იმ თავიდანვე გვწამდა. რომ უდიდესი ნაწილი მოპოვებულ თავისუფლებათა იმავე სახელმწიფოს მკვიდრ ველიკორუსებზე დაიხარჯება, ხოლო არა ველიკორუს ნასუფრალს და თუ მიუგდებენ. ეს ცხადზე უცხადესი არის და ასე იყო წინედაც და ასე იქნება შემდეგშიც.

ერი კი მაინც არსებობს, მან უნდა იარსებოს კიდეც, თუნდაც დიდ სახელმწიფოების ინტერესებს ეს ეწინააღმდეგებოდეს. არსებობას კი ისეთი პირობები სჭირია, რომლის შემწეობით ნორმალური განვითარება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. განვითარება იგულისხმება კულტურული და ეს შეუძლებელია თუ არ განვითარდა ეროვნული კულტურა. ვინ იძლევა ამის გარანტიას? სახელმწიფოებრივი ცენტრი? მასზე ჩვენ იმედებს ვერ დავამყარებთ. საჭიროა ეროვნული ცხოვრების მართვა ცენტრის დამოუკიდებლად. უმისოდ ვერ მოეწყობა ვერც სოციალ—ეკონომიური, ვერც პოლიტიკური და ვერც კულტურული განვითარება ერისა.

ძველი წესწყობილება დაემხო და თავისუფლების

„ალმოპრწყინდა მზე დიდებულთა
და განანათლა ქვეყანა ბნელი."

მშრომელ ჯგუფთა შორის ჩვენც გვეკუთვნის საპატიო ადგილი: ჩვენი დახლი ისეთივე პატივსაცემი სამოქმედო ასპარეზი არის, როგორც ვექილის ტრიბუნა, ექიმის სადოსტაქრო მაგიდა ან და სოფლის მუშის ყანა და ქარხნის დაზგა.

ევროპაში ეს დიდი ხანია შეგნებული აქვთ და ვაჭარ-მრეწველთა სიტყვას, თუ მეტი არა, სხვა კლასთა და ჯგუფთა სიტყვებზე ნაკლებ არ აყენებენ სახელმწიფოს მოწყობა-მოვლაში.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა წრე, ეს ის წრე არის, რომელსაც აქამდის შეუგნებლათ შემოქონდა და აწ კი მიზანშეწონილათა და შეგნებით უნდა შემოიტანოს საქართველოში ევროპის მაღალ-კულტურიანი სახელმწიფოებრივი და საზოგადო წესები.

ამ განკითხვისა და გარდაქმნის ხანაში ჩვენ ერთმანეთს უნდა უთხრათ, თუ რა მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნისათვის საუკეთესოდ და ნათქვამის დასაცავად, როგორც ერთი კაცი, ისე გამოვიდეთ.

ჩვენ მოვითხოვთ: 1) აღდგენილ იქნას ტრაქტატი 1783 წლისა, რათა ქართველ ერს საშუალება მიეცეს თავისი საქმე თვითონვე მოაწყოს, 2) დაცულ იქმნეს კერძო საკუთრება, ვინაიდან იგი არის ფუძე საზოგადოების აყვავებისა და განვითარებისა.

ქართველნო ვაჭარნო, ხელოსანნო და მრეწველნო? ამ ორი დებულების მედგრათ დამცველი არის საქართველოში მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიული პარტია; მას დაუჭირეთ მხარი, მის სიას № 8 მიეცით ხმა დამფუძნებელ კრებისათვის, და თუ ვინმე შეუწყობს ხელს **საქართველოს დამფუძნებელ კრების** მოწვევას, მათ შორის ვიქნებით ჩვენც, რადგან უმთავრესი მისწრაფება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა სწორეთ ის არის, რომ დაჩქარებით მოწვეულ იქმნეს საქართველოს დამფუძნებელი კრება.

**მიეცით ხმა სრულიად საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას № 8**

**ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების საბჭო.**

## დადგა დრო!

რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში ახალი ხანა დაიწყო, ეს ხანა შექმნა ბოლშევიკების გამოსვლამ: ჯერ კიდევ დახამდვილებით არ ვიცით, ვის ხელშია დღეს ძალა-უფლება, ჯერ არ სჩანს, ვინ უდგას სახელმწიფოს სათავეში ერთი კი ცხადია: დაიწყო სამოქალაქო ომი. რუსეთის ყველა ქალაქებში ბრძოლაა, რუსეთი უკვე დაიყო რამდენიმე ოლქად; შეიძლება რამდენსამე ოლქში ბოლშევიკები გაბატონდენ, დანარჩენში — დროებითი მთავრობა, ამისთანა პირობებში დამფუძნებელი კრების მოწვევა ძალიან საძნელოა, შეიძლება სრულიადაც არ შესდგეს იგი. ბრძოლა მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის დიდხანს გასტანს; არეულობა, ანარქია გამეფდა მთელს რუსეთში. რა სახეს მიიღებს საბოლოოდ რუსეთის რევოლიუციის მსვლელობა, ძნელი სათქმელია. ამ ხნის განმავლობაში შიმშილი, დარბევა, სისხლის ღვრა და ათასი სხვა გაჭირვება გაძლიერდება.

დადგა დრო, როდესაც ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვეკუთვნოდეთ! აქამდის თუ ვიშმუშნებოდით, ძილისგან ვერკვეოდით და ნისლით მოცულ ჰაერში საგნებს ძლივს ვარჩევდით, ახლა ყველაფერი ნათელია, ცხადი და აშკარაა. ჩვენ ვერ ვიხსნით მთელს რუსეთს ასეთ მდგომარეობიდან. და თუ გვინდა მოპოვებული უფლებანი შევინარჩუნოთ, თუ გვინდა დემოკრატიული პრინციპი ლოგიკურ დასკვნამდე განვავითაროთ, — საკუთარი ფეხით, საკუთარი გზით უნდა ვიაროთ! საკმაოდ დავამტკიცეთ ჩვენი ლოიალობა, საკმაოთ ვუწყობდით ხელს რუსეთის რევოლუციას. ახლა კი თუ არ გვინდა რომ ემბაზიდან წყალთან ერთად ბავშვიც გიდავაგდოთ, ჩვენს თავს უნდა მივხედოთ!

ისტორიულ ხანას განვიცდით, ისტორიული ნაბიჯებიც უნდა გადავდგათ — მტკიცე და გაბედული. ეს ჩვენი სადვთო ვალია, დემოკრატიული პრინციპისა და თავისუფლების განმტკიცებაა! ჩვენ უნდა მოვიწვიოთ ჩვენი ეროვნული კრება, რომელიც, როგორც სრულ-უფლებიანი ორგანო მთელი ხალხის ნდობით მოსილი, გამოსძებნის სწორს გზასა და საშვალებას, თუ როგორ იხსნას ერი, დემოკრატია, თავისუფლება, კარზედ მომდგარ განსაცდელისაგან. ასეთი კრების მოწვევა უნდა ითავოს ეროვნულმა საბჭომ — ამ საპარტიათა შორისო დაწესებულებამ და მანვე უნდა შეჰკრას კავშირი მეზობელ ერთა დემოკრატიასთან.

ჟ. ლ.

(„ალიონი")

დაწევას და დაჭრას უპირებენ საქართველოს, საზღვრების მთლიანობის, საქართველოს სრულ-უფლებიანობის მომხრე მხოლოდ № 8 არის

## ბოლშევიკების დიქტატურა.

**საგუბერნიო კომიტეტთა კრება**

მთელი რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ავქსენტიევი ევგეგეჭკორს ატყობინებს:

ეხლანდელ მომენტში საკვირველი არ არის, რომ დამფუძნებელი კრება არ მოხდეს. მიუცილებლად საჭიროა ახალი მთავრობის შედგენა და დანფუძნებელი კრების მოწვევა დანიშნულ დროს. გლეხთა ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საკითხების გადაწყვეტაში, ამის გამო მთელი რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს გიორგობისთვის 10-ს პეტროგრადში საგანგებო კრება საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტთა დელეგატებისა, ორ-ორი კაცი თითოსაგან. დასწრება სავალდებულოა. უარის თქმა არ შეიძლება. საკითხები წინასწარ ადგილობრივ უნდა იქმნას განხილული. სრული კრება რუსეთის საბჭოებისა დანიშნულია გიორგობისთვის 30-ს. თვითნება ყრილობებს ბოიკოტი გამოუცხადეთ.

**საზოგადო მდგომარეობა**

პეტროგრადში შეთანხმება ჯერ არ მომხდარა, მომავალშიც მისი მოხდენის იმედი არ უნდა გვქონდეს მენშევიკთა ცენტრალ კომიტეტიდან შეთანხმების მოსურნეთაგან 11 კაცი გავიდა, მათ შორის ლიბერი, სკობელევი და ბოგდანოვი. მენშევიკთა ფრაქციის კრებაზე გარდაწყვეტილია პარტიის ახალი ცენტრალი კომიტეტი შესდგეს. ს.-რევოლუციონერთა პარტიაში ჩერნოვისა და ფეტის გარდა ყველანი შეთანხმების წინაამდეგნი არიან. მთელი რიგი ქარხნების წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ბოლშევიკებს დაეთანხმებით ვიკჟელის პროგრამაზეო. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა კერძო კრებებზე ბოლშევიკები ახალს არჩევნებს ახდენენ, მაგრამ ყოველგან მარცხდებიან. ქალაქში სიწყნარეა, როგორც მოსკოვსა და კიევში. გოცი, ავქსენტიევი, სტანკევიჩი, ბრაუნი და სხვები კანონის გარეშე გამოცხადებულ იქმნენ ბოლშევიკების მიერ. სტანკევიჩი პეტროგრადშია. ჩერნოვისა და ფეტის გარდა ვერხოვსკის მთავარ ბანაკში მოელიან სკობელევს და სხვებს.. სამინისტროებში არავითარი მუშაობა აღარ სწარმოებს... კერენსკი სრულიად უმიშრდაა, მხოლოდ არ იციან, სად არის ამ ჟამად. რაც შეეხება ფრონტის მდგომარეობას, რუსის ჯარებს ერთხელ კიდევ მოუხდათ უკან დახევა.

**ბოლშევიკების სამინისტრო**

შეთანხმება არა ხდება. მოელიან წერეთელს, სკობელევს და სხვებს. ბოლშევიკთა სამინისტროში დარჩნენ ლენინი, ტროცკი და სტალინი (ჯუგაშვილი). რადგანაც ესენი ტერორს ჰქადაგებენ, მათთან შეთანხმება შეუძლებელი ჰხდება.

**საფოსტო მთავარ ბიუროს პროტესტი**

მთავარი ბიურო ფოსტა ტელეგრაფისა სასტიკ პროტესტს აცხადებს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დაპატიმრების გამო და მოითხოვს დაუყოვნებლივ მათ განთავისუფლებას.

ის, რაც აუცილებელია, უნდა აღსრულდეს. აბა გადავავლოთ თვალი ევროპის ისტორიას. რა მოხდა აქ? მოყოლებული საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან, გათავებული გერმანეთის გაერთიანებით, იტალიისა და საბერძნეთის აღორძინებიდან, ბალკანეთის ერთა განთავისუფლებიდან დაწყებული და ვათავებული რუსეთისა და ავსტრიის თანამედროვე ეროვნული მოძრაობებით, ჩვენ ერთსა და იმავე პროცესს ვხედავთ. ერები საოცრად ყალიბდებიან, ირკვევიან და ისტორიული ცხოვრების მეტად მძლავრ ფაქტორის როლს თამაშობენ.

ეს მოვლენა მეტად ნათელი არის იმათთვისაც, ვინც ამდენ ხანს თავს აფარებდა მხოლოდღა კლასთა დიფერენციაციის და უშინაარსო ფრაზებს საერთაშორისო სოლიდარობაზე და ვინც სრულს გულგრილობას იჩენდა ეროვნებათა სოციალურ განვითარების ინტერესებისადმი.

ამ ფაქტებმა გაარღვია ისეთი მეცნიერი ადამიანის მსოფლმხედველობის ფრონტიც კი, როგორიც არის კაუცკი და რადიკალურად შეაცვლევია მას შეხედულება ეროვნულ კითხვაზე. დღეს ის უკვე იძახის, რომ საზოგადოების დემოკრატიზაციას თანა სდევს მისი ნაციონალიზაციაო ის ამბობს, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატია იმდონავდე უნდა იქნეს ეროვნული, როგორც დემოკრატიულიო. დაწესებულებათა გაეროვნება დღეს სავსებით ადასტურებს კაუცკის ასეთ შეხედულებას.

საკვირველი მხოლოდ ის არის' რომ სფლობელ ერის კულტურაზე აღზრდილი ინტელიგენცია, თავში საოცრად ეხმარება თავის მშობელ პატარა ერის დიდ მფლობელ ერში გათქვეფას, მაგრამ ეთვისება თუ არა ის მშობელ მასსას, შედის ის თუ არა ეროვნული დემოკრატიის ფარგალში, წინააღმდეგი პროცესსი ჰყოფს მასში თავს. ის უნებურად იძულებული ხდება დაინახოს განსხვავება საკუთარ და გაბატონებულ ერთა დემოკრატიასა და პროლეტარიატის შორის. ეს კი აიძულებს მას აღიაროს ეროვნული სხვადასხვაობა, თუნდაც ეს სხვადასხვაობა შეეხებოდეს დიდს, მფლობელ ერს და პატარა დაპყრობილ ერს. ამის ნიშნებმა დღეს, ღვთის წყალობით, საქართველოშიც იჩინა თავი და ამიტომაც არის ნაკლებად გვესმის, თითქოს ეროვნული ბრძოლა იყოს „ბურჟუაზიული გამოგონება".

ამნაირად ეხედავთ, რომ განმათავისუფლებელი ეროვნული მოძრაობა ეხლა უფრო სწრაფად ასრულებს თვის მისიას.

ჰუნგრეთის დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მებრძოლი ანდრეიკოშუტი 50 წლის წინედაც სწერდა, რომ ეროვნული მოძრაობა ჯერ სათანადოდ არ განვითარებულა და მან უკვე შეანძრია მსოფლიოს მყუდროებაო.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ის ისტორიული პროცესი, რომელიც გამოიხატება ფართო მასის გამოღვიძებაში შეუდრეკელის ძალღონით მიაქანებს იარაღით თუ ხერხით დაპყრობილ ერებს, ეროვნული ჩაგვრის საბოლოოდ მოსპობისაკენ. ამის მაგალითი წარსულ საუკუნეშიც იყო (იტალიის და გერმანეთის გაერთიანება და ბალკანეთის ერების განთავისუფლება) და დღეს ხომ უფრო თვალსაჩინო შეიქმნა (ავსტრიის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაშლა, ოსმალეთის სიკვდილის პირზე მიყვანა და დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა), ნუთუ ეს ცოცხალ ფაქტებში ჭკუას არ ასწავლის გაბატონებულ ერებს?

ჩვენთვის, მცირე ერებისათვის კი ნათელი შეიქმნა, რომ მებატონე ერი ისარგებლებს როგორც თვისი კულტურულის, ისე ფიზიკურის აზრით, რის შედეგი იქნება დაუსრულებელი ჩაგვრა მცირე ერებისა და მათი მიწასთან გასწორება.

ხსნა მხოლოდ იმაში-ღა დაგვრჩა, რომ მცირე ერებმაც გამოიჩინონ თავიანთი ძალა და ძალას ძალა დაუპირდაპირონ. გამარჯვება აშკარად ჩვენსკენ გადმოიხრება გადმოიხრება, ვინაიდან ცენტრს არაფერი გამოელევა და თუ ნებსით არა, უნებლიეთ მაინც ვაიძულებთ ჩვენი უფლებების ცნობას. შეიძლება საქმე ისეც დატრიალდეს, რომ საპარლამენტო ობსტრუქციაც მცირე საშვალება გამოდგეს და ბრძოლა პარლამენტიდან ქუჩაში გადვიდეს. ასეთ ხრონიკულ კრიზისებს კი ვერცერთი სახელმწიფო თუ გინდ უძლიერესი ვერ გაუძლებს. ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო აღიარებს ,,თვის'', ერებს იურიდიულის ძალა-უფლებით მოსილ ერთეულებად მაშინ ნება ერისა იქნება სუვერენული და ამას ნიშნავს სწორედ ის პრინციპიც, რომელსაც ,,ერთა თვითგამორკვევის'' პრინციპი ეწოდება, და რომლის ხორცის შესხმა ასე რიგად აშინებს რუსეთის სოციალისტებს. ამათში ჯერეც არ მომკვდარა ძველი, რუსული ტრადიციული, ცენტრალისტური ფსიქოლოგია. მაგრამ ბუნება მათ დაამარცხებს. ამის საწინდარი ის ბუნებრივი და მეცნიერული კანონი არის, რომელიც გვასწავლის, რომ ყოველი ერის თვისება არის ბუნებრივი სწრაფვა — თავისთვის ისეთი პოლიტიკური ცხოვრება შექმნას, რომელიც მას მისცემს საშვალებას საკუთარი სოციალური პრობლემები ავტონომიურად გადასწყვიტოს: როგორც უფლებრივ-სახელმწიფოებრივი, ისე სოციალურ-ეკონომიური და საკულტურო საგანმანათლებლო.

ეს სწრაფვა ერისა თავის თავადაც, კანონიერი და სამართლიანია, ვინაიდან შიგ ის საღი ინსტიქტია ჩამარხული, რომელიც ამოძრავებს ერს ნორმალური განვითარებისათვის გამოსძებნოს წინ-წამყვანი პირობები, მატერიალურადაც და კულტურულადაც.

და თუ ყოველი ერი, მისი შინაური ცხოვრება დაცული არ იქნება სხვის ზეგავლენისაგან, მაშინ ერთნაირათ გვატყუებენ ბოლშევიკებიც და სხვა სოციალისტებიც, თუ არა სოციალისტებიც, რომელნიც შარა გზის ყოველ კუთხეზე გაჰყვირიან საპარადო ფრაზას: ,,გაუმარჯოს ერთა თავისუფალ თვითგამორკვევასო''.

**ივ—ხაძე.**

## უკანასკნელი დეპეშები.

გიორგობისთვის 3-ს ქეჩაში შემთხვევით დასჭირეს გენერალი ბრუსილოვი.

—

პეტროგრადის „ნოვაია ჟიზნ"-ი იუწყება, რომ გატჩინოში, როდესაც გამოირკვა რომ ყაზახები სამხედრო რევოლუციურ კომიტეტის მხარეზე გადავიდნენო, კერენსკიმ განაცხადა, მას მხლდოდ თავის მოკვლა და დარჩენია. გენერალ კრასნოვმა, რომელიც მთავრობის ჯარს უფროსობდა, ურჩია კერენსკის, პეტროგრადს წადი და სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს დაჰნებდიო. კერენსკი დასთანხმდა, მაგრამ მოითხოვა, რომ საღამოთი წასულიყო. მაგრამ მალე იგი მეზღვაურის ტანისამოსში გამოწყობილი გაიქცა.

—

პეტროგრადიდან მოსკოვში ცნობები არ მიდენილა.

## არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. ,,ჩვენი ქვეყნ.ს'' რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნ ა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა**

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**თეატრი.** დღეს. ქალაქის თეატრში ნ. ჩხეიძის ქალის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „მშობლიურ ჰერ ქვეშ".

**„№ 21 ჯვრით".** ქართული დრამატიული დასი უკვე შეუდგა სამზადისს დაუ ამ დღეებში წარმოადგენს ია ეკალაძეცინცაძის ახალი პიესას „№ 21 ჯვრით".

**მშობელთა წრე.** დღეს, 9 ნოემბერს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში მოხდება კრება ხსენებულ სასწავლებლის მშობელთა წრის წევრებისა.

**ბარათები პურზე.** გუშინ, 8 ნოემბრიდან ქუთაისში პურის ყიდვა ბარათები დაიწყეს. თვითეულ სულზე მხოლოთ თითო გირავნქა პურს იძლევიან.

**თავადი აზნაურთა კრება.** გუშინ ქუთაისში გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა საერთო ყრილობა, იმის გამოსარკვევათ, თუ რა სახით გადაეცეს თავად აზნაურობის [illegible] საპატრიოთა [illegible] საბჭოს. თავად-აზნაურობის ქონებას დღეს დღეობით უმთავრესათ შეადგენს ქუთაისის ქართული გიმნაზიის შენობა, საადგილ-მამულო ბანკი და სენაკის სკოლა.

**ამინდი.** ქუთაისში. ამ ბოლო ხანებში წვიმებს გახშირდა. სიცივემ უმატა.

**ქუთიისს საგუბერნიო** აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალთა საეპარქიო გიმნაზიის ინსპექტორათ თანახმად ხსენებული სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს არჩევნებისა დაამტკიცა ტ. მ. ჯაფარიძე, ხოლო გამგეთ ვარდოსანიძის ქალი.

**ახალი გიმნაზია.** დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირმა დადგინა, რადგანაც კორძაიას ქალის კერძო გიმნაზიაში მომხდარი ინციდენტი არა სასურველათ დასრულდა, დაარსონ ამ გიმნაზიის ნაცვლად ახალი კერძო ქალთა გიმნაზია, რომელიც მოთავსებული იქნება წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის შენობაში, სწავლა 13 ნოემბრიდან დაიწყება.

**მშობელთა წრის კრება.** დღეს, 9 ნოემბერს, 6 საათზე სახაზინო გიმნაზიის შენობაში მოხდება მშობელთა კრება. მშობელთა წრის თავმჯდომარე სთხოვს ყველა მშობლებს დაესწრონ კრებას.

**ორშაბათს** ნოემბრის 6 ქალაქის თეატრში **მგოსანმა ი. გრიშაშვილმა** წაიკითხა ლექცია ,,მეფე ერეკლეს კარის მგოსნის საიათნოვას'' შესახებ. ლექცია ლამაზი და შინარსიანი გამოდგა.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

— **ჭიათურა**. შაბათს, ნოემბრის 25 ს საკრებულო დარბაზში გაიმართება დიდი ალამო· საღამოზე მოწვეულია საუკეთესო ძალები თბილისიდან და ქუთაისიდან.

— ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, ვისთანაც ჯერ არს, რათა ჭიათურაში არ იქნას გამოგზავნილი ჯარი ვინაიდან ქალაქი სურსათის მხრივ საშინელ კრიზისს განიცდის.

— პარასკევს, 10 ნოემბერს, მოდება ადგილობრივ ვაჭართა კრება ვაჭართა საზოგადოების დაარსების შესახებ. სთხოვენ ყველა ვაჭარს. განურჩევლად მიმართულებისა, დაესწრონ კრებას.

### თ ბ ი ლ ი ს ი

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარმა კომიტეტმა განცხადება შეიტანა რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ კავკასიის ცენტრალ საარჩევნო კომისიაში, რომელშიდაც ითხოვს, რომ რადიკალ-დემოკრატების სია № 16 მოხსნილ იქმნას საქმის წარმოებიდან, ვინაიდან ხსენებულ სიის ერთად ერთის კანდიდატის მიხაკო წერეთლის თანხმობის ხელწერილი ყალბია.

— განცხადებასთან ერთად წარდგენილ იქმნა ნოტარიუსთან შემოწმებული ასლი მიხეილ წერეთლის იმ ბარათისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის 240 №-ში.

— **ამომრჩეველთა რაოდენობა.** თბილისში დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში შეტანილია 123. 588 მოქალაქე ორივე სქესისა, 34,113, მხედარი და 7100 ლაზარეთებში მყოფნი.

— **პროექტი მამულების მოიჯარადრეთა შესახებ.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულმა საადგილ მამულო კომისიამ პროექტი წარუდგინა კომიტეტს, რომ სანამ დამფუძნებელი კრების ახალი კანონი არ გამოვა, სოფლის მემამულეთ უფლება არ ჰქონდეთ იჯარის გადიდებისა და მოიჯარადრეთა დათხოვნისა.

— **პურის დუქნები.** კოოპერატივმა „მოსავალმა" 16 დუქანი გახსნა თბილისის სხვადასხვა ადგილას, სიცა გამოცხვარ პურს გაჰყიდის. თავისს წევრებს რიგს გარეშე მიჰყიდიან პურს.

— **ბაზრების კონტროლი.** რადგან ამჟამად თბილისში ბაზრები სრულიად უთვალყუროდ არის მიტოვებული და არც ნიხრი სრულდება და არც სასანიტარო დადგენილებანი, ქალაქის გამგეობამ მიანდო თავის წევრს სმირნოვს მოიწყოს კონტროლი, რომელსაც საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიხრის შესრულებას და სასანიტარო საქმეებს სასტიკად უნდა ადევნოს თვალყური.

— **ფეხსაცმელების ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ შემდეგი ნიხრი დააწესა შესაკერ ფეხსაცმელებზე: კაცებისა 55—120 მან, ქალებისა 70—100-მ. და ბავშვებისა 15—45 მან.

— **ყველის აწონა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მეყველეებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ აცნობონ მას რაოდენობა მათი ყველისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველის რეკვიზიციის წესით ჩამოართმევს მათ ხსენებული გამგეობა.

— **ჯამაგირების მომატება:** ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა მოთხოვნილება მილიციათა საკომისაროების კანცელარიათა მოსამსახურეების და დაადგინა მოუმატოს მათ ჯამაგირი წარსულ ენკენისთვის პირველიდან.

— **ტრამვაის ვაგონები.** ტრამვაის ვაგონები რამდენიმედ შეაკეთეს და ეხლა მუშაობს 77 მატორიანი და 35 უმატორო (მისაბმელი) ვაგონი. ამ დღეებში კიდევ მიემატება 8—10 ვაგონი. წინა დღეებში კი ვაგონების რიცხვი 68-მდისინ დავიდა.

## ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება.

ორშაბათს, ნოემბრის 6, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ამხანაგი მოწაფეებიც. კრება მრავალ-რიცხოვანი იყო და დიდის სიფხიზლითა და ხალისიანობით ჩატარდა. ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა ამხ. იოსებ **ხანანაშვილმა**, შემდეგ თემაზე: „მომენტი და ტაქტიკა". მოხსენებაში განმარტებულ იქნა ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის დამფუძნებელ კრებასთან, ამ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა იმ კითხვის სათანადოთ გადაწყვეტაში რომლის სიმწვავეს ყველაზე უფრო ეროვნულ დემოკრატიული პარტია გრძნობს და რომლისთვისაც უმთავრესად ერ.-დემ. პარტია იბრძვის. ეს კითხვა არის ეროვნული კითხვა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან ჩვენ ბევრს არ უნდა მოველოდეთ. და თუ რამეს მივიღებთ ამ კრებისაგან, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენი პარტიები საქართველოში ერთს, ეროვნულ სიას წამოაყენებდნენ მაგრამ ვინაიდგან ეს არ მოხდა სხვა გზას უნდა მივმართოთ, რათა ქართული საქმე არ წახდეს. ეს გზა იქნება, უკვე გაყვანილ კანდიდატთა ერთ ეროვნულ პლატფორმაზე გაერთიანება და მათი რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ქართულის ერთ სულოვანობით გამოსვლა. თუ ეს არ მოხდა, დამფუძნებელ კრებას არც ერთი ჩვენი ეროვნული ჭრილობის განკურნვა არ შეეძლება. მაგრამ ყოველივეს და მიუხედავად ჩვენი სამზადის არ უნდა იქნეს მოკლებული არც შრომასა და არც ენერგიას, რადგან ჩვენს ძალებს უკეთ დავინახავთ და მაშინ სხვანაირადაც განგვეწყობა მტერ-მოყვარენი ამასთანავე მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნულ ყრილობას, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს. ეროვნული ყრილობისკენ ეროვნულმა საბჭომ უნდა მიგვიყვანოს, ხოლო ეროვნულმა ყრილობამ სრულიად საქართველოს დამფუძნებელ კრებამდე. ეს იქნება ჩვენი ეროვნული საქმის ლოღიკურის გზით განვითარება და მსვლელობა. ხოლო შინაურ ეროვნულ პოლიტიკას ერთვის აგრეთვე ჩვენი დამოკიდებულება როგორც მეზობელ, ისე არა მეზობელ ერებთანაო. ამ შემთხვევაში ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რათა შეთანხმების გზა გამოვნახოთ, უკიდურეს შემთხვევაში წავახდენ როგორც ჩვენის, ისე სხვათა თავისუფლების საქმესაო. შემდეგ ამხ. ხანანაშვილმა აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა ჩვენმა პარტიამ ჩვენში არსებულ პარტიათა შეთანხმებისა და გაერთიანების საქმეში.

მოხსენება გაათავა მოწოდებით როგორც ამხანაგ სტუდენტთა, ისე ამხანაგ მოწაფეთა მიმართ, რათა ძალ-ღონის დაუზოგავად იმუშაონ ჩვენი ერთად ერთი ეროვნული პარტიის გაძლიერებისათვის და მისი სიის № 8 ფართო მასსაში გავრცელებისათვის. მოხსენებას მოჰყვა კამათი და შეკითხვები, რომელმაც მეტად დიდი დრო მოითხოვეს და რის გამოც მოხსენებანი ამხ. ზიკ. აბესაძისა და ი. ჩხაიძის ასულისა გადადებულ იქნა შემდეგი კრებისათვის ხოლო მოხსენება: „ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე" წაიკითხა ამხ. მიხ. ღვამიჩავამ. მან აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომ დღესაც, ამ სამშობლოს განთავისუფლების ჟამსაც, ჩვენი ახალგაზრდობა ცევ რუსეთისაკენ მიილტვის, ვითომ და სასწავლებლად, მაგრამ როგორი სწავლა იქნება პეტროგრადში და მოსკოვში, ან სხვა რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში, ამას მოწმობს ის ყოველ კვირეული კრიზისები, რომელიც ყოველ ანარქიას თანაზდევს. მისი წინადადება, რომ დაევალოს ჩვენს თანამოაზრე სტუდენტობას, დაუყოვნებლივ სამშობლოში მობრუნდენ, ერთხმად მიიღო კრებამ და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ტექსტი მოწოდებისა და დაბეჭდოს ჩვენს გაზეთებში. ეგევე მოწოდებები დაეგზავნება ამხანაგებს რუსეთში.

ამას შემდეგ კრება გადადის სტუდენტთა პრეზიდიუმს არჩევნებზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ზიკ. აბესაძე, მის თანაშემწედ ამხ. შალვა ბუაჩიძე. მდივნებად: ა. ჩხეიძე და ივ. ცხადაძე. მოლარედ ი. ჩხეიძის ასული. შემდეგი კრების მოწვევა ევალება პრეზიდიუმს რაც შეიძლება ახლო მომავალში ხოლო სანამ საარჩევნო კამპანია სწარმოებს, ყოველი სტუდენტი ეროვნულ—დემოკრატი გადადის საგუბერნიო ეროვნულ—დემოკრატიულ კომიტეტის განკარგულებაში, რომელმაც საჭიროებისამებრ უნდა მოიხმაროს ჩვენი ამხანაგები. კრება დაიწყო ნაშუადღევის 4 1/2 საათზე და გათავდა ღამის 6 საათზე.

დ. ქ.

## უვიცობა თუ მოტყუება?

გოლოვინის პროსპექტზე ძმ. სვიდანოვის პაპიროსების მაღაზიის ვიტრინაში გამოკიდულია გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი დაპყრობილი ოსმალეთის ძველ ქრისტიანული ნაშთისა, შემდეგის წარწერით: „სომხეთის ძველი კულტურის ძეგლი დაპყრობილ ოსმალეთში. საყდარი აგებულია მეშვიდე საუკუნეში სოფ. ეოშკ-ვანქ ისპირის ხეობაში. ფასი 150 მან.

საინტერესოა ვიცოდეთ რომელ ისტორიულ საბუთებით შეიქნენ ეს საყდრები სომხურ ძველ კულტურის ნიმუშად, იმ დროს როდესაც ნამდვილ ისტორიულ წყაროებით ცნობილია, რომ ეს ეკლესიები ქართულ სიძველეთა ძეგლებს შეადგენენ.

ეს აგრეთვე დამოწმებულია სომეხ არქეოლოგ მხიტარისტის სარგისიანის მიერ, რომელმაც მესამოციან წლებში შეიარა მთელი თორთუმის მიდამოები და შეადგინა აღწერა ისტორიულ ნაშთებისა; რომლის შემდგომაც ეს ეკლესიები აღმოჩნდენ მხოლოდ ქართული ნაშთები საეკლესიო ეს აღნიშვნა და წარწერა, გამოცემული აქვს სარგისიანს და ბროსეს და ამ ეკლესიების შესახებ დიდ მასალასაც იძლევიან.

მიმდინარე წელს ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო და სამხატვრო საზოგადოებამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია თორთუმის და ისპირის მიდამოების სიძველეთა გამოსაკვლევათ.

ექსპედიცია უკვე დაბრუნდა და თან მოიტანა მრავალი ძვირფასი მასალა.

ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდენ. არქ. ე. ს. თაყაიშვილი, არქიტექტორი ა. კალგინი, გეოგრაფი ი. ზდანევიჩი და სამი მხატვარი.

დ. შავარდენაძე, გ. გუდიაშვილი და მ. ჯიაურელი.

დასახელებულმა პირებმა ყოველმხრივ გამოიკვლიეს და გამოიძიეს ისტორიულ ნაშთები ხსენებულ მიდამოებში.

მათ გადაღებული აქვთ პლანი წარწერილი საყდრებისა, რომლებიც დაწვრილებით გვამცნობენ ამ საყდრების აგების ისტორიას.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ისტორიული ნაშთები ეკუთვნიან ტაოკლარჯეთის ბაგრატ დიდს, რასაც აგრეთვე ღაღადებს ქართული ისტორია.

იკითხავთ, გამოფენილ სურათების ეტიკეტებში ავტორების უვიცობით აიხსნება, თუ მათ სურთ მყიდველის მოტყუება?

დ. შავარდენაძე.

## ეკრანი.

(დასასრული იხ. „ჩვენი ქვეყ." № 170).

„უსულო ტილოზე ნაჩვენები უსულო სურათი თქვენზე ვერ მოახდენს შთაბეჭდილებას" — დარწმუნებით ამბობს ამხ. გარრიკი, საპასუხოდ მხოლოდ ეუბნება ამხ. გარრიკს თუ თვით კინოში არა, ფოიეში მაინც შეუხვდეს და ნახოს, რამდენ ხალხს იზიდავს კინო, იქ რომ შთაბეჭდილებას, სიამოვნებას, კმაყოფილებას არ ღებულობდეს ხალხი, მერწმუნეთ, ამხანაგო, არავინ შევა, არც დროს, არც ფულს დახარჯავს. მე ასე მგონია და თქვენ არ ვიცი.

„თქვენ წინ არ არის ნამდვილი მსახიობი შემოქმედი, არ არის მისი **გულწრფელი** განცდა, ვერ ხედავთ მის სულიერ თრთოლვას, ვერ ხედავთ ემოციას, რადგან მთლად იკარგება მისი პატეთიური მღელვარება და ამიტომ თქვენს ნებისყოფას ვერ იამფოთებს", — გაბედულათაა ნათქვამი, მაგრამ თქმულის ჭეშმარიტებაში ძლიერი ეჭვი შემაქვს და აი რატომ: ეკრანზე, სურათის ჩვენების დროს, ჩვენ წინ დგას მსახიობი — შემოქმედი, მაგრამ არა ცოცხალი. მაგრამარც შეეხება მის **განცდას**, სულიერ თრთოლვას, ემოციას, და სხვა ფსიხოლოგიურ ყოფნის მომენტებს, ყველა ესენი ცხადი და ნათელია მაყურებლის მხედველობისთვის. მოვიგონოთ ზოგიერთი სურათები: „Грѣхъ", „Сынъ гадалки", „За каждую слезу по каплѣ крови" „Королевская тигрица, ხომ გინახავთ, ამხანაგო, ეს სურათები, მაშ ალბათ იხილავდით მოზჟუხინის თვალებზე ნამდვილ ცრემლების წვეთებს, და იქნებ თქვენს გვერდით ვინმე, თქვენ თვით თუ არა, ალბათ აქვითინდებოდა ცოლ-ქმარის ტრაგიულ შეყვარების დროს; შემდეგ იხილავდით ბავშვის სიგიჟეს და მის სახის საშინელ გამომეტყველებას; იხილავდით მოტყუებულ ომებ გაწეულ კორენევას ტანჯულ სახეს; იხილავდით პინა მენიშელის სულის თრთოლვას სახეზე მომქმედს, და რამდენი ჩამოვთვალო, ნუთუ ყველა საჭიროა?!. ასე რომ შეცდომაა იმის თქმა, თითქოს ეკრანი კლავს ხელოვანს, შემოქმედს და მის განცდათა მთელ მშვენიერებას. რაც შეეხება მსახიობის „გულწრფელ" განცდას, რათ დავჭირდეთ ამაზე სიტყვა, თვით სცენაზე თუ ხართ მოწმე ნამდვილი მსახიობის გულშივე განცდის? იშვიათად. მაშასადამე, არ კვდება ეკრანზე მსახიობ-შემოქმედი, არ კვდება მისი განცდა, არ კვდება პლასტიკაც. თქვენ იცნობთ რუსეთის ბალერინა კარალლის, მაშ ნახეთ მისი „მომაკვდავი გედი" ეკრანზე და დარწმუნდებით, რომ პლასტიკა ეკრანზე სცოცხლობს, დაცულია სავსებით და ღირსეულად.

ამხ. გარრიკი ეხება მიმიკას და ამბობს: „სად არის იქ (ე. ი. ეკრანზე) მიმიკა? ეს ხომ სახის დაპრანჭვაა, სახის წვალებაა! განა ადამიანს ასე ადრე შეეცვლება სახე სიხარულსა და მწუხარების დროს?" — არ ვიცი, რომელი მსახიობის როლის შესრულებას მისცა საბაბი ავტორის ასეთი აზრის შესამუშავებლად?!.

ამხ. გარრიკმა უნდა იცოდეს, რომ ჯერ კიდევ ეკრანს სპეციალი მსახიობები, ე. ი. საკუთარი, არ ყავს, ყველა მსახიობნი, რომელებსაც ჩვენ ლენტზე ვხედავთ, სცენის მსახიობებია, ფილმების მიერ მოწვეულნი, ასე რომ, ის მსახიობი, რომელიც ეკრანზე სახეს პრანჭავდა და აწვალებდა ასევე იქცევა ალბათ სცენაზედაც. მსახიობის სიხარული სცენაზე ისეთია, როგორც ეკრანზე, მსახიობი როგორც ეკრანზე განიცდის ტანჯვას იმრიგათვე განიცდის სცენაზედაც. განსხვავება არ არსებობს. მოზჟუხინის ქვითინს ერთნაირად იცნობს, როგორც ეკრანი ისე მოსკოვის დრამატიული თეატრი. მოვაგონებთ კიდევ ერთ სურათს „Въ жизни все бываетъ" — ჩვენი სცენის ქურუმი ლადო მესხიშვილის მონაწილეობით: აქ ხომ ეკრანზე ჩვენი ლადოა, მისი მშვენიერი და მდიდარი მიმიკით?!. რა გინდათ მეტი?!.

ამხ. გარრიკი სინანულს გამოსთქვამს, რომ ბოლო დროს კინომატოგრაფმა სახელ განთქმული მსახიობნი ჩაითრია ჰონორარებით, — სიტყვას არ გავაგძელებ. დამიჯერეთ ამხ. გარრიკ, რომ სახელგანთქმული შალიაპინს, იტალიის სიამაყე ფრანჩესკა ბერტინის და კავალიერის კინოების ჰონორარები ვერ ჩაითრევენ. იყავით ამაში დარწმუნებული. „ხელოვანი-მხატვარი მასში (ე. ი. კინემატოგრაფში) იხრჩობა და ჩვენ წინ გამოდის უბრალო ხელოსანი" — არა, ამხანაგო გარრიკ, შალიაპინი „ივანე მრისხანეში", პეტროვი „ტოტში" ხელოსნები არ იყვნენ, არამედ სრული ხელოვანნი. მერწმუნეთ იქ, სადაც შალიაპინის გენიალურ ნიჭს ადგილი აქვს, ჰონორარი ვერ ჩაითრევს.

ამხ. გარრიკი ეხება მოგზაურობაში გამოჩენილ მსახიობთა თამაშს ეკრანზე და აღნიშნავს, რომ ეკრანზე ისინი მხოლოდ აჩრდილებია სინამდვილის. მაგალითად, მოჰყავს ორლენევი რასკოლნიკოვის როლში და ამბობს, რომ მსახიობი ეკრანზე კეთილ ემსგავსება, სურათის და მსახიობის ასლი სიცოცხლეს კრიტიკის დროს ამხ. გარრიკმა უნდა მიიღოს მხედველობაში სამი მთავარი გარემოება; 1. ვის ეკუთვნის ინსცენირობა ნაწარმოების, 2. რომელ ფილმას ეკუთვნის ლენტი სურათი და 3. რომელი რეჟისორის ხელმძღვანელობით და რომელ მსახიობთა მონაწილეობით არის შესრულებული სურათი. აი, ეს სამი პირობებია გასათვალისწინებელი. რადგანაც რუსეთში მრავალი ფილმებია ნაკლები ხარისხის, მაგალითად: „Аргосъ", „Русская золотая серія, „Побѣда", Свѣтлояр", „Т-во А. и В., „Т-во Либкина" და სხვები, რომლების გამოცემული სურათები მუდამ სუსტია, როგორც შინაარსით, ისე მხატვრული მხარით. რუსეთში ცნობილია მხოლოდ სამი ჩემს მიერ ზემოაღნიშნული ფილმები, ასე რომ ორლენევის რასკოლნიკოვის სრულქმნილობისათვის საჭირო იყო შესაფერი გარემო პირობები და ამ სურათის გმირთა შესაფერ ძალებში განაწილება. „კინემატოგრაფის პატივისმცემელნი ამბობენ: კინემატოგრაფში, სხვათა შორის, ბუნების სრული ბუნებრივობაა დაცულიო ესეც ტყუილია! ჩვენ ჯერ არ გვინახავს ცა, რომ ცას ვგვანებოდეს, ჩვენ წინ მუდამ ერთი და იგივე თეთრი ტილოა". — ამბობს ამხ. გარრიკი, მე კი ვფიქრობდი, რომ მართალნი არიან კინემატოგრაფში ბუნების სრული ბუნებრიობის მაღიარებელნი და ცდება ამხ. გარრიკი, რადგანაც ეკრანზე ჩვენ ვხედავთ ნამდვილ ცას ისეთივე მწვანეს და ცივს, როგორც სინამდვილეში და სცენაზე ხომ მსგავს რამეს სრულებით ვერ იხილავთ. საკვირველია, ამხ. გარრიკი კინოში ყოფნის დროს ერთხელაც არ ივიწყებს იმ თეთრ ტილოს ეკრანს, რომელზედაც სურათებს აჩვენებენ. მას მუდამ ტილო ახსოვს. მხოლოდ ტილო, თეთრი ტილო არ აძლევს მოსვენებას, მაგრამ საჭირო თავდავიწყებას ამხ. გარრიკი შეჩვეული არ ყოფილა, იმ თავდავიწყებას, რომელიც თეატრშიდაც საჭიროა. ასეთ შემთხვევაში, ამხ. გარრიკო, გაბედულათ სხვებს მაინც ნუ არწმუნებთ თქვენის მოსაზრებით, რომელიც შეცდომის მეტს არაფერს წარმოადგენს.

„კინემატოგრაფს ერთი დიდი ნაკლი აქვს — ეს არის სურათების ბუნდოვანობა" — კვლავ მცირდება ზემო თქმულის გამეორება, რომ ეს ფილმაზე დამოკიდებულია. ხანჟონკოვის, ხარიტონოვის და ერმოლიევის ფილმებს თქვენ ასეთ ბრალს ვერ დასდებთ, და რა ვუყოთ რომ სუსტი ფილმების სუსტი აპარატის მიერ გადაღებული სურათები მკრთალნი და ბუნდოვანნი არიან ღარიბ კინემატოგრაფის იაფ-ფასიან აპარატის დემონსტრაციაში. ეს ხომ საერთოდ ეკრანზე არ ითქმის.

თეატრი და ეკრანის შესახებ ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ ახლო მომავალში და დღეს კი ამით ვასრულებ ამხ. გარრიკის მოსაზრებათა დახასიათებას. მე მგონია მალე თვით გარრიკიც აღიარებს თავის შეცდომებს, რადგანაც ეკრანს დიდი წარსული არ აქვს ის ჯერ კიდევ ძიების და ევოლიუციის გზაზე სდგას, მას აქვს თავისი მისია, და უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევაც შეასრულებს. ამის ნიშნები უკვე სჩანს.

ჩვენი სურვილია საქართველოშიც იშვას საკუთარი, ქართული ფილმები, რომ განვითარებული ეკრანის წყალობით აღვადგინოთ სინამდვილეები ჩვენი ბრწყინვალე წარსულის სახე და დავახასიათოთ აწმყოს იერი.

სიხარულით ვეგებებით „ქრისტინეს" ლენტზე გადაღებას, გვწამს, რომ ერთი ნაბიჯით არ განისაზღვრება ეკრანის საქმე საქართველოში.

მ. ღვამიჩავა.

ქ. სენაკი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ახლო ნომერში თქვენი პატივ-ცემულ გაზეთის საშუალებით მომცეთ შეძლება უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირებს, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს [illegible] სოფლის ღარიბების 2-რ მტაცებ[illegible] სასარგებლოდ შემოსწირეს: 1) ილიკო მიხეილის ძე კვირიკაშვილმა 10 მ; 2, იოსებ ლომენ[illegible] ძე [illegible]შვილმა 10 მ; 3, ყარამან კვირიკაშვილმა 5 მ; 4, ონისიმე კვირიკაშვილმა 5 მ: 5, [illegible] ბორჯომში მცხოვრებლებმა: პავლე სიმონისძე მაქაძემ 5; 6, შვილმა მისმა აქსენტი მაქაძემ 5; 7, ვასილ ივანესძე ოკრიბელაშვილმა 5 მ; 8, მეუღლემ მისმა ნინამ 5 მ; 9, ილია ივანესძე ოკრიბელაშვილმა 5 მ; 10, მეუღლემ მისმა ანნამ 5 მ; 11, ანტონ ივანესძე ოკრიბელაშვილმა 5 მ; 12, მეუღლემ მისმა ელისაბედმა 5 მ; 13, ტერენტი წოკრიბელაშვილმა 5 მ; 14, მეუღლემ მისმა ტასომ 5 მ; 15, სოფელი ღვევარი: ნიკოლოზ სილომონისძე გოგოლაძემ 3 მ; 16, სოფ. ალი. მიხეილ ივანესძე კაპანაძემ 1 მ; 17, კალენიკე სიმონისძე ორჯონიკიძემ 1 მ; 18, სოფ. საქარა. მანუელ გრიგოლისძე ქათამაძემ 1 მ; 19, ვერა რამიშვილისამ 1 მ; 20, ბაბუსაა ქითამაძისამ 1 მ; 21, [illegible] მოწაფემ ალექსანდრე სერგოსძე ქათამაძემ 1 მ; 22, ანდრო მანუელისძე ქათამაძემ 1 მ; 23, გიორგი ხ. [illegible]ლაშვილმა 1 მ; 25, მეუღლემ მისმა დარიკომ 1 მ; 25, ასულმა მათმა ვალინამ 70 კაპ; 26, ანეტამ 50 კაპ; 27, დიმიტრი ჭ. პაშვილმა 1 მ; 28, პლატონ დიმიტრისძე ჭ. პ. შვილმა 2 მ; 29, მეუღლემ მისმა მარიამ სიმონის ასულმა 2 მ; 30, ასულმა თამარამ 1 მ; 31, მინა როსტომისძე კიკნაძემ 3 მ; 32, როსტომ კიკნაძის ქვრივმა ატატომ 5 მ; 33, ელუკია დიმიტრი კიკნაძის ქვრივმა 1 მ; 34, სიმონ აკაკისძე კიკნაძემ 1 მ; 35, ტარიელ როსტომისძემ 1 მ; 36, მაქსიმე გუდუსძე ჯაბუამ 5 მ; 37, ერემია გარსევანისძე ლურსმანაშვილმა 1 მ;.

1) მღვდელი პეტრე მიხეილისძე 2) მღვდელი სიმონ ჭიაშვილი.

№ 8 იბრძოლებს და იშრომებს, რათა ყოველ ქართველს ჰქონდეს საშვალება თვალ-ყური ადევნოს თავის წარმომადგენლებს, ვისაიდან იგი მოითხოვს თბილისში საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას. ხმა მხოლოდ № 8.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და მინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 1[illegible]1.

ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. ღებულობს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დღით 12 1/2—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი, ლვოვსკის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135.

სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა [illegible] სახლი, ქუთაისში